ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის ნოემბრის 1.	№ 19 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან ადგილებზე კანონთა გამოქვეყნების გაყოფილების მიერ გამოცემული.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
საჯარო წიგნთსაცავი

შინაარსი:

მუხ. 214. აპარატის რაციონალიზაციის გამო დათხოვნილი სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეებისათვის მისაცემი გასალიერებული გამოსასყელი დახმარების შესახებ.

„ 215. ჭითურის სადგურიდან ვაგონების მიყენებისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესებისა და ტყიბულის ქვანახშირის საგადასახადო ტარიფის შესახებ.

„ 216. დებულება ა/კსფსრ ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ საერთო ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ.

„ 217. წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელებისათვის გამოცემული ინსტრუქციის დამატების შესახებ.

„ 218. ადგილობრივი ფინანსების დებულების 23 მუხ. დამატებისა და 27 და 39 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 219. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ტყის თვითნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 220. ჩათხის თუჯისა და საყორე გრანტის ქვის ადგილობრივი ტარიფის შესახებ.

„ 221. ტყვიის ნაკეთობის მკაცრირებელთა შემოკლებული სამუშაო დღის შესახებ.

„ 222. საგვგმო ორგანოების საკონტროლო-ტრორო დაკვირვებათა შესახებ.

„ 223. ნმხ. მ. გაჯიისკის ა/კსფსრ ვაკრობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

„ 224. სოციალური დაზღვევის ორგანოებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 271. დაიბეჭდა 800.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 76 აკსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და აკსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ოქტომბრის 19.

214. აპარატის რაციონალიზაციის გამო დათხოვნილი სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეებისათვის მისაცემი გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენენ:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია—სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „აპარატის რაციონალიზაციის გამო დათხოვნილი სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეებისათვის მისაცემი გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარების შესახებ“ 1927 წ. სექტემბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი **დ. ჭუსეინოვი.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **ხარაბაძე.**

ინსტრუქცია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „აპარატის რაციონალიზაციის გამო დათხოვნილი სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეებისათვის მისაცემი გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარების შესახებ“ 1927 წ. სექტემბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდებისადვის.

1. გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარების მიღების უფლება (თვენახევრის გასამრჯელოს რაოდენობით—მოსკოვსა, ხარკოვსა და ლენინგრადში და თვიური გასამრჯელოს რაოდენობით—სსრკ დანარჩენ ადგილებში) აქვს იმ მომუშავეს (მოსამსახურეს და მუშას), რომელიც დათხოვნილია 1927 წ. სექტემბრის 1-დან დაწყებულ პერიოდში:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა) აპარატის რაციონალიზაციის გამო, ე. ი. საგამგებლო აპარატის სტრუქტურის გამარტივებისა და მუშაობის სისტემისა და მეთოდების გაუმჯობესების საფუძველზე შტატების შემცირების გამო;

ბ) შემცირების გამო, რაც განხორციელებულია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „1927-1928 წლის ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების შესახებ“ 1927 წ. აგვისტოს 30-ს თარიღით გამოცემული დადგენილების წესისამებრ.

2. გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარება იმ პირს, რომელიც დათხოვნილია სექტემბრის 1-დან დაწყებულ პერიოდში სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 27-ს დადგენილების გამოქვეყნებამდე, მიეცემა იმ გამოსასვლელი დახმარების ჩათვლით, რაც მას წინად დაწესებული საერთო ნორმის მიხედვით მიეცა.

3. დადგენილების მოქმედება მტკიცედ უნდა იქნეს შემოფარგლული მხოლოდ 1-ლ მუხლში აღნიშნული შემთხვევებით და ამ დადგენილების გავრცელება ყველა სხვა დათხოვნის შემთხვევაზე, რაც შრომის დაცვის კანონთა კოდექსშია აღნიშნული, აკრძალულია. გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარება შეიძლება მიეცეს მხოლოდ მუდმივ მოსამსახურეს და ამ დახმარების მიცემა დროებით და სეზონობით მომუშავეებისათვის, პრაქტიკანტებისათვის, სტაჟერებისათვის და წითელ არმიაში გაწვეულ პირებისათვის არ შეიძლება.

4. თვიური საშოვრის ცნებად (მუხ. 3) უნდა იგულისხმებოდეს მომუშავისათვის დანიშნული თვიური ჯამაგირის განაკვეთი. არავითარი ზედმეტი სამუშაოს საშოვარი, კერძოდ, ზედმეტი მუშაობის სასყიდელი, თუნდაც ეს მუშაობა სისტემატიური იყოს, გამოსასვლელი დახმარების გამოანგარიშების დროს სათვალაშში არ მიიღება, გარდა ყოველთვიურად მისაცემი პრემიისა და სანაჭრო სასყიდლისა, რაც კოლექტიური ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, აგრეთვე პასუხისმგებელი პოლიტიკური მომუშავის სადატვირთვო სასყიდლისა.

5. უკეთუ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების მუდმივი მომუშავენი დათხოვნილ იქნენ აპარატის რაციონალიზაციის გამო, გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარება გაიცემა სამუშაო ხელფასის ასიგნებიდან იმ წლის ბიუჯეტით, რომელშიაც მოხდა აპარატის რაციონალიზაცია და მომუშავეთა დათხოვნა.

6. ხოლო, უკეთუ იმავე დაწესებულების მუდმივი მომუშავენი დათხოვნილ იქნენ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 30-ს დადგენილების აღსრულების წესით, კერძოდ, რათა შტატი მიღწეულ იქნეს საშტატო ერთეულთა იმ რაოდენობამდე, რომლისთვისაც 1927-1928 წლის ბიუჯეტით სამუშაო ხელფასის ასიგნებია გათვალისწინებული,—გაძლიერებული გამოსასვლელი დახმარება გაიცემა უწყებათა და დაწესებულებათა 1926-1927 წლის სათანადო ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული სამუშაო ხელფასის ასიგნების ნარჩომიდან; უკეთუ ეს ნარჩომი არ მოიპოვება ან იგი საშეღავათოოვადის გასვლის გამო დახურულია სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1927 წლის სექტემბრის 13-ს თარიღის ინსტრუქციის თანახმად (სსრკ ფინ. სახ. კ-ტის 1927 წ. სექტემბრის1 3-ს თარიღისა და 733 №-რის ცირკულიარი),—გაძლერებული დახმარება გაიცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლილი წლის დასრულებული ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული ხარჯების ფონდიდან (მუხ. მე-6 სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 30-ს დადგენილებისა—სსრკ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დასრულების წესის შესახებ); ამასთანავე ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალარაოები და მათი მენაცვლე ორგანოები პირველ რიგში განაღდებენ აღნიშნული საქონელისათვის წარდგენილ ასიგნობებს-ჩეკებს.

7. 1-ლ მუხლში აღნიშნული ფონდიდან გამოსასვლელი დახმარების მისაცემად ფულადი თანხის მოთხოვნას (ასიგნობა-ჩეკს) უნდა დაერთოს მოთხოვნილებათა ნუსხა და ცნობა, იმის დასამტკიცებლად, რომ ამა თუ იმ დაწესებულებას 1926-1927 წ. ბიუჯეტით სამუშაო ხელფასისათვის გადადებული ასიგნებიდან ნარჩომი არ მოეპოვება; ხოლო ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 30-ს დადგენილების მე-7 მუხ. აღნიშნული დოკუმენტების (იმის დასამტკიცებლად, რომ გამოთხოვილი ხარჯი გათვალისწინებული იყო ამა თუ იმ უწყების ხარჯთაღრიცხვით გასული საბიუჯეტო წლისათვის და რომ სათანადო კრედიტი დახურულია, რადგანაც იგი დახარჯული არ იქნა) წარდგენა საჭირო არ არის.

8. გზათა სახალხო კომისარიატისა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის უწყებებში გაძლიერებული გამოსასვლელი დიხმარება, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 30-ს დადგენილების აღსრულების წესით დათხოვნის დროს, გაიცემა გზათა სახალხო კომისარიატისა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის 1926-1927 წლის ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ზემოაღნიშნულ კომისარიატთა შორის მომხდარი შეთანხმების მიხედვით (შეთანხმების მე-4 მუხ.).

9. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 27-ს დადგენილების მე-7 მუხლის მოქმედება გავრცელდება მხოლოდ წარმოებიდან დათხოვნილ მოსამსახურეებზე და არა ისეთ მოსამსახურეებზე, რომელნიც მსახურებენ წარმოებითი საწარმოთა საგამგებლო აპარატში, ან საწარმოთა დამხმარე ორგანოების აპარატში (კონტორა, საწყობი), რაც მათი ტერიტორიის გარეშეა, და აგრეთვე წარმოებითი შენაერთების (ტრესტების) გამგეობების აპარატში. ფაბრიკების ტერიტორიაზე მდებარე კონტორებისა და საწყობების მოსამსახურეებზე მე-7 მუხლის მოქმედება გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი გათანასწორებულ არიან მუშებთან სამუშაო დღის ხანგრძლიობით და დათხოვნილ იქნებიან წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით მუშათა განსაზღვრული რაოდენობის შემცირების გამო.

სსრკ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **ფრუმკინი.**

სსრკ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბახუტოვი.**

შეთანხმებულია სრულ. საკავშ. პროფკ. ცენტრ.
საბჭოში: სრ. საკავ. პროფკავ. ცენ. საბჭოს
სატარიფო-საეკ. განყოფ. გამგის მოადგილე **შულიკოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 3.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1606 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წლის ოქტომბრის 12. № 7.

215. ჭიათურის სადგურიდან ვაგონების მიყენებისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესებისა და ტყიბულის ქვანახშირის საგადასაზიდო ტარიფის შესახებ.

ჭიათურის სადგურიდან საქართველოს შავიქვის საზოგადოების საწყობებთან ვაგონების მიყენებისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

ჭიათურის სადგურიდან საქართველოს შავიქვის საზოგადოების ცენტრალურ მიწერილ საწყობთან დასატვირთავად (შავიქვის გარდა) ერთი ვაგონის მიყენებისათვის, თანაც ამ ვაგონის ჭიათურა-დარკვეთის მანძილის ფარგალში მაგისტრალურ ხაზზე გადაბმულ, საქართველოს შავიქვის საზოგადოების ექსპლოატაციაში ქონებულ ერთ-ერთ შტოზე მდებარე მიწერილ საწყობთან, ან წინაუქმოდ, მიყენებისათვის ან და ერთი შტოდან მეორე შტოზე გადაცემისათვის—გადახდევინებულ იქნება 13 (ცამეტი) მანეთი.

აღნიშნულ ვაგონზე ზედმეტად თვითეული მიყენებული ვაგონისათვის ზემოხსენებულ განაკვეთს მიემატება 4 (ოთხი) მანეთი.

ვადა მთელი ოპერაციისათვის განისაზღვრება ერთი დღე-და-ღამით.

ვაგონს გაჰყვება თანამხლებელი ან დაედება საქართველოს შავიქვის საზოგადოების კლიტე ამ საზოგადოების პასუხისმგებლობით.

დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოიღება 1927 წ. ოქტომბრის 20-დან და მოქმედებს იმ დრამდე, ვიდრე იგი გაუქმებულ არ იქნება.

ტყიბულის ქვანახშირის ნოვოროსიისკში გასატანად ტყიბულის სადგურიდან ფოთის სადგურამდე გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. 31 (04) №-რის ადგილობრივი ტარიფის განგრძობის შესახებ.

ტყიბულის ქვანახშირის ტყიბულის სადგურიდან ფოთის სადგურამდე გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. 31 (04) №-რის ადგილობრივი ტარიფი, რომელიც დაწესებულია ვადით მიმდინარე წლის სექტემბრის 24-მდე და გამოქვეყნებულია ტარიფთა კრებულის 311 და 403 №№-ში,—განგრძობილ იქნეს უცვლელად ვადით 1927 წ. დეკემბრის 31-დე.

ა/კ. რკ. გზ. გამგ. არსებული საუწყებთაშორისო სატა-
რიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-მიქაელიანი.**

სსთ საქმეთა მმართველის თანამდ. აღმ., უფრ. ეკონომ. **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1607 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 21-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

216. ა/კსფსრ ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ საერთო ზედამხედველობის განხორციელების წესის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება „ა/კსფსრ ადგილობრივი გზატკეცილებისა და შარაგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ საერთო ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ“.

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტ. თავმჯდომარე **ხ. აღამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. სექტემბრის 19. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება აკსფსრ ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ საერთო ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ

1. საერთო ტეხნიკურ ზედამხედველობას ა/კსფსრ ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის და ამ გზების გაყვანისა და ექსპლოატაციის ტეხნიკური და ნორმატიული მხარის მოწესრიგებას, რაც უზრუნველჰყოფს მათ დაცვას, უშიშროებას და სარგებლობის წესს,—განახორციელებს გზათა სახალხო კომისარიატი ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს, ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს და ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველოების (საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის) მეშვეობით.

2. საერთო ტეხნიკური ზედამხედველობა ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის გამოიხატება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სატეხნიკო-საინსპექციო ზედამხედველობაში გზების მდგომარეობისა, შენახვისა და მოწყობისათვის;

ბ) გეგმათა შეთანხმებაში გზათა მშენებლობისათვის.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების გაყვანისა და ექსპლოატაციის ტეხნიკური და ნორმატიული მხარის მოწესრიგება ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს მიერ გამოიხატება იმაში, რომ იგი განსაზღვრავს:

ა) გზების გამოკვლევისა და გზებისა და მათ ნაგებობათა პროექტების შედგენისა და აგრეთვე მექანიკურ გაწყობილობის დამზადების საერთო პირობებს;

ბ) გზებისა და მათ ნაგებობათა შენახვისა და რემონტის ტეხნიკურ წესებს;

გ) სხვადასხვაგვარ ნაგებობათა დატვირთვის გამოანგარიშების ნორმებსᲒ

დ) გზის ლიანდაგისა და ხელოვნურ და სამოქალაქო საგზაო ნაგებობათა ნორმალურ ტიპებს და გზის გაყვანისა და რემონტისათვის საჭირო მექანიკურ გაწყობილობას;

ე) გზების კლასიფიკაციას და განთვისების ზოლის ნორმებს;

ვ) გზებისა და მათ ნაგებობათა სარგებლობის წესებს;

ზ) გზების ეკონომიური და ტეხნიკური გამოკვლევის მეთოდებს.

4. ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს სატეხნიკო-საინსპექციო ზედამხედველობა განხორციელდება მით, რომ იგი:

ა) განიხილავს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გამგე ორგანოებისაგან მიღებულ წლიურ ანგარიშებს;

ბ) დამატკიცებს ახალი გზების გაყვანისა და ნაგებობათა აშენების პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს—პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მსვლელობისა და დამტკიცების დებულების წესისამებრ.

შენიშვნა. დებულება გზების ნაგებობათა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მსვლელობის წესის შესახებ დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

გ) გაიცნობა ადგილობრივ მუშაობას გზატკეციღლებისა და შარაგზების საინსპექტორო დათვალიერების მეშვეობით;

დ) მეთვალყურეობას გაუწევს სავალდებულო ნორმებისა, ტეხნიკური პირობებისა, ინსტრუქციებისა და წესების აღსრულებას, მე-3 მუხ. თანახმად.

5. ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველოს სატეხნიკო-საინსპეკციო ზედამხედველობა გამოიხატება მით, რომ იგი:

ა) განიხილავს და წარადგენს ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოში თავისი დასკვნით გენერალურ და საპერსპექტივო გეგმებს;

ბ) განიხილავს და წარადგენს ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოში თავისი დასკვნით საწარმოო პროგრამებს;

გ) განიხილავს, ტეხნიკურად შეასწორებს და წარადგენს ადგილობრივი ტრასპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოში დასამტკიცებლად მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

დ) განიხილავს და დამატკიცებს ტეხნიკური მხრით ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო მშენებლობის ყველა დანარჩენ პროექტს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) გაეცნობა ადგილობრივ წარმოებულ მუშაობას საინსპექტორო დათვალიერების მეშვეობით;

ვ) მისცემს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რსსუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავის დასკვნას ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ეკონომიური გამოკვლევის გეგმების შესახებ;

ზ) შეიმუშავებს, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გამგე ორგანოებთან ერთად, საცდელ-საჩენებელ სამუშაოთა გეგმებს;

თ) შეიმუშავებს, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გამგე ორგანოებთან ერთად, ამ ორგანოებისათვის საგზაო იარაღების მიწოდების გეგმებს;

ი) შეიმუშავებს, პროფესიონალურ და განმანათლებელ ორგანოებთან ერთად, პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლებისა და საგზაო მომუშავეთა მომზადების საკითხებს;

კ) განიხილავს და წარადგენს ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოში გზების გაყვანისა, რემონტისა და შენახვის საწარმოო პროგრამების აღსრულების წლიური ანგარიშების ასლებს.

6. საგზაო მშენებლობისათვის ადგილობრივ შედგენილი გეგმების შეთანხმება გამოიხატება მით, რომ:

ა) შეთანხმებულ და შეკავშირებულ იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიერ საგზაო მშენებლობისათვის შედგენილი გენერალური და საპერსპექტივო გეგმები საგზაო მშენებლობის საერთო-საკავშირო გეგმასთან;

ბ) შეთანხმებულ იქნება წლიური საწარმოო პროგრამები;

გ) შეთანხმებულ იქნება ეკონომიური გამოკვლევის გეგმები;

დ) შეთანხმებულ იქნება საგზაო სამუშაოთათვის მექანიკური გაწყობილობის მიწოდების გეგმა;

ე) მონაწილეობას მიიღებს სსრკ სასუბვენციო ფონდისა და სხვა ფონდების ადგილობრივი საგზაო მშენებლობისათვის განაწილებაში.

შენიშვნა. აღნიშნული საკითხების გამო ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველო წარადგენს თავის დასკვნებს ამიერკავკასიის საგეგმო ორგანოებში.

7. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გამგე ორგანოები, ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანურ სამმართველოთა მეშეეობით, წარადგენენ, მე-4, 5 და 6 მუხლების აღსრულების წესისამებრ, ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოში:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაყვანისა, რემონტისა და შენახვის საწარმოო პროგრამების აღსრულების წლიური ანგარიშების ასლებს;

ბ) მე-4 მუხ. „ბ“ პუნ. გათვალისწინებულ სამუშაოთა პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

გ) საგზაო მშენებლობის გენერალურ და საპერსპექტივო გეგმებს, საწარმოო პროგრამებს, ეკონომიურ გამოკვლევათა და საცდელ-საჩენებელ სამუშაოთა გეგმებს—შესათანხმებლად.

8. ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველოებისა და ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს მიერ ზემოაღნიშნული ფუნქციების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასრულებლად—ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო მშენებლობისათვის ტეხნიკური ზედამხედველობის გასაწევად დანიშნული კრედიტებიდან გადაირიცხება ისეთი თანხა, რაც ერთ პროცენტს შეადგენს ამ მშენებლობისათვის გაწეული ფაქტიური ხარჯებისას.

9. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გამგე ყველა ორგანო თავისი მოქმედებისა და ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოსთან და რესპუბლიკანურ სამმართველოებთან ურთიერთობის დამყარების სფეროში იხელმძღვანელებს ამა დებულებას.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1608 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 22-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

217. წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელებისათვის გამოცემული ინსტრუქციის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შეტანილ იქნეს წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელებისათვის გამოცემულ ინსტრუქციაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-12 №-რი, მუხ. 565) შემდეგი დამატება:

I. ინსტრუქციის მე-60 მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა 1.** ნებისად დაქირავებულ მსახურად ითვლება ისეთი პირი, რომელიც სამხედრო უწყების ნაწილში, სამმართველოში და დაწესებულებაში გაწვეულია თავისუფალი ქირავნობის წესით, მაგალითად: სამხედრო უწყების წარმოებითი საწარმოს მუშა, სამხედრო უწყებაში მომსახურე პირი, რომელსაც საშტატო თანამდებობა არ უჭირავს, აგრეთვე ყველა სხვა პირი, რომელსაც ტეხნიკური თანამდებობა არ უჭირავს, ე. ი. ისეთი თანამდებობა, რომლისთვისაც სამხედრო მომზადება საჭირო არ არის, და ეს მომზადება არ შეეთვისება აღნიშნულ თანამდებობაზე სამსახურის აღსრულებით".

II. ინსტრუქციის მე-7 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 2.** „სსრკ მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ გამოცემულ კანონთა კოდექსითა და ამა ინსტრუქციით სამხედრო მსახურთათვის და მათ ოჯახთათვის დაწესებული შეღავათები და უპირატესობანი მიინიშნება, ან საწითელარმიელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნაკისა, ან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო ცნობის წარდგენისამებრ, აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ამა თუ იმ ნაწილისა ან დაწესებულების მიერ, სამხედრო მსახურის სამსახურის ადგილის მიხედვით, გაცემული მოწმობის წარდგენისამებრ".

III. ინსტრუქციის მე-V თავს—პროკურატურის ზედამხედველობა წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლების დაცვისათვის—დამატოს 32[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„32[1]. საპროკურორო ზედამხედველობის ორგანო მოვალეა იქონიოს მუდმივი მეთვალყურეობა, რათა ყველა იმ საქმის მსვლელობა, რომელშიაც ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარედ სამხედრო მსახურია ან მისი ოჯახი, სასამართლოს ინსტანციებში თავის დროზე სწარმოებდეს".

IV. 33 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„33. ის თანამდებობის პირი, რომელიც არ მიიღებს ან თავის დროზე არ მიიღებს ღონისძიებას წითელარმიელთა და მათ ოჯახთა სამართლიანი ინტერესების დასაცავად, პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამართლის წესით, როგორც ხელისუფლების უმოქმედობისათვის",

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტ. თავმჯდომარე **ხ. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 10. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1610 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 25-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

218. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 23 მუხლის დამატებისა და 27 და 39 მუხლების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წლის აგვისტოს 9-ს დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 23 მუხლს დაემატოს პუნქტი „ნ" შემდეგი შინაარსისა:

„ნ. ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოსაღების ანარიცხი—შემოსული გამოსაღების $^2/_3$ რაოდენობით".

II. იმავე დებულების 27 მუხლის „გ" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გ. ბირჟაზე ქმნილ გარიგებათა გადასახადი (მუხ. 39)“.

III. იმავე დებულების 39 მუხლი და ამ მუხლის შენიშვნები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„39. ბირჟაზე ქმნილ ვარიგებათა გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღეტატებოდეს:

ა) იმ გარიგებისათვის, რაც ქმნილია სასაქონლო ბირჟაზე,—გარიგების თანხის 0,1%-ს;

ბ) იმ გარიგებისათვის, რაც ქმნილია საფონდო ბირჟაზე და სასაქონლო ბირჟის საფონდო განყოფილებაში,—გარიგების თანხის 0,05%-ს.

შენიშვნა 1. ბირჟაზე ქმნილი გარიგების გადასახადისაგან განთავისუფლდება გარიგება სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოკლევადიანი გადახდის ვალდებულებაზე და სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროს სერტიფიკატებზე.

შენიშვნა 2. ბირჟაზე ქმნილი გარიგების ადგილობრივი გადასახადის გადახდევინების წესს განსაზღვრავს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

IV. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1927 წ. ოქტომბრის 1-დან.

ა/კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრ. აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წლის ოქტომბრის 10. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1610 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 25-ს.

დადგენილება № 51 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

219. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ტყის თვითნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ტყის თვათნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოების შესახებ“ 1926 წ. ოქტობრის 19-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. №-13 №-რი, მუხ. 757) დადგენილების 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„1. დაწესებულ იქნეს ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოება იმ პირთა აღმოჩენისათვის, რომელნიც თვითნებისად მოსჭრიან ტყეს და უკანონოდ ისარგებლებენ ტყესა და ტყის სანახებს“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. ოქტომბრის 10. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1610 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 25-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წ. ოქტომბრის 12. № 8.

220. ვაგონობით ჩათახის თუჯის გადაზიდვისათვის არსებული ადგილობრივი ტარიფის გაუქმებისა, იზოტერმიული ვაგონების მოთხოვნისათვის არსებული საწინდრის შეცვლისა და საყორე ვრანტის ქვის გადაზიდვისათვის არსებული ადგილობრივი ტარიფის შეცვლის შესახებ.

ვაგონობით ჩათახის თუჯის (არა-ნაკეთობისა) გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. მე-19 №-რის (04) ადგილობრივი ტარიფის გაუქმების შესახებ.

ვაგონობით ჩათახის თუჯის (არა-ნაკეთობისა) (32 ჯგ. 12-ბ პოზ.) სადგურ სანდარიდან (192) ა/კ. რკ. გზ. დანარჩენ სადგურებამდე გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. მე-19 (04) №-რის ადგილობრივი საშეღავათო ტარიფი, საერთო ტარიფის 25 პროც. მონაკლებით, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 589 №-ში 1924 წ. მაისის 30-ს და ტარიფთა კრებულის 186 №-ში 2041 №-რის ტარიფად, ჩათვალოს გაუქმებულად 30 დღის გასვლისას დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

ა/კ. რკ. გზ. სადგურებიდან იზოტერმიული ვაგონების მოთხოვნისათვის არსებული საწინდრის შეცვლის შესახებ.

ა/კ. რკ. გზ. სადგურებიდან მალფუჭებადი ტვირთის დასატვირთავად იზოტერმიული ვაგონების მოთხოვნისათვის ამა დადგენილებით დაწესებულია საწინდრის შემდეგი განაკვეთები (ვაგონის ტვირთწეობის დამოუკიდებლად):

1. ხელოვნური ყინულით მომარაგებული ვაგონი . . . . . 97 მან.
2. ხელოვნური ყინულით და მარილით მომარაგებული ვაგონი . 112 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. იზოტერმიული ვაგონების ბუნებრივი ყინულით მომარაგების დროსაც საწონდრის რაოდენობა უცვლელად რჩება.

ტარიფი ესე დაწესებულია იმ დრომდე, ვიდრე იგი გაუქმებულ იქნებოდეს და სამოქმედოდ შემოიღება შვიდი დღის გასვლისის ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან.

საყორე გრანიტის ქვის (ჯგ. 41, პოზ. 8) გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. 73 (04) №-რის ადგილობრივი ტარიფის განგრძობის შესახებ.

ბათუმის და ფოთის პორტების გასაფართოებლად ტყიბულის შტოს სადგურებიდან ბათუმ-ნავთსადგურამდე და ფოთ-ნავთსადგურამდე პორტების განყოფილებისა და შინა-წყალსავალი გზების სამმართველის კუთვნილი საყორე გრანიტის ქვის (ჯგ. 41, პოზ. 8) გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. 73 (04) №-რის ადგილობრივი ტარიფი, რომელიც დაწესებულია ვადით 1927 წ. ოქტომბრის 1-დე და გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1504 №-ში 1927 წ. ივნისის 17 და ტარიფთა კრებულის 434 №-ში 9565 №-რის ტარიფად, განგრძობილ იქნეს უცვლელად ვადით 1928 წ. იანვრის 1-დე.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდ. მოადგილე **ტერ-მიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარ. თათბირის საქმეთა მმართველის თან. აღმ., უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1610 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 25-ს.

დადგენილება № 32 აკსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წლის ოქტომბრის 25.

221. ტყვიის ნაკეთობის მკავშირებელთა შემოკლებული სამუშაო დღის შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „ტყვიის ნაკეთობის მკავშირებელთა შემოკლებული სამუშაო დღის შესახებ" 1927 წ. ოქტომბრის 15-ს თარიღით და 331 №-რით გამოცემული დადგენილების თანახმად, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. სექტემბრის 11-ს დადგენილებით დამტკიცებულ (ა/კსფსრ შრომის მომქმედი კანონმდ., 1926 წ. გამოც., 295 გვ.) იმ განსაკუთრებით მავნე სამუშაოთა სიას, რომელთათვისაც დაწესებულია შემოკლებული სამუშაო დღე, სახელდობრ მე-2 კარს (მეტალის დამმუშავებელი წარმოების მრეწველობა) დაემატოს მე-16 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„16. ტყვიის ნაკეთობის მკავშირებელნი მუდმივი მუშაობის დროს—7 საათ.

ა/კსფსრ შრ. სახ. კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

შრომის დაცვის განყოფილების გამგე **ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1612 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 52. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

222. საგეგმო ორგანოების საკონიუნქტურო დაკვირვებათა შესახებ.

რადგანაც სათანადოდ დაყენებული საკონიუნქტურო დაკვირვება აუცილებელი პირობაა საგეგმო პრინციპის წარმატებით განხორციელებისათვის, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გააძლიეროს მუშაობა საკონიუნქტურო დაკვირვებისა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობისათვის, რისთვისაც ზედმიწევნით უნდა იხელმძღვანელოს სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დირექტივები ამ დაკვირვებათა ორგანიზაციის პრინციპებისა, მოცულობისა, მეთოდებისა და პროგრამებისა, აგრეთვე მათი აღსრულების საკალენდრო ვადების შესახებ; თანაც მიიღოს განსაკუთრებული ღონისძიებანი დაკვირვებათა გაფართოებისათვის ა/კსფსრ მრეწველობის სფეროში, როგორც პროგრამებისა, ისე სადაკვირვებო ობიექტების მხრით.

2. კვლავ დაედასტუროს სახალხო კომისარიატებსა, უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელნიც-კი ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოქმედებენ, საჭიროება უცილობლად ხელი შეუწყონ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნის განხორციელების საქმეში, როგორც საჭირო ცნობებისა და მასალების წარდგენით, ისე სათანადო შემთხვევაში მის მუშაობაში მონაწილეობის მიღებით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ყოველთვე, არა უგვიანეს 25 რიცხვისა, წარუდგინოს ხოლმე ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მოხსენება გასული თვის საკონიუნქტურო დაკვირვებათა ანალიზის შესახებ და აქედან გამომდინარე ღონისძიებათა პროექტი; თანაც აღნიშნოს ის დაბრკოლებანი, რამაც თავი იჩინა საკონიუნქტურო მუშაობაში.

4. დაეკისროს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ხელმძღვანელობა გაუწიოს რესპუბლიკანურ სახელმწიფო საგეგმო კომისიების საკონიუნქტურო მუშაობას.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ვალდებულთ ყონ რესპუბლიკანური სახელმწიფო საგეგმო კომისიები—ზედმიწევნით იხელმძღვანელონ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დირექტივები დაკვირვებათა ორგანიზაციის პრინციპებისა, მოცულობისა, მეთოდებისა, მუშაობის პროგრამებისა და ვადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჯუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. ოქტომბრის 25. ტფილისი-ხასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1613 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 28-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

223. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. მ. გ. გაჯინსკის დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს: ამხ. მამედ გასან გაჯინსკი დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

ა/კ. ცენტრ. აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წლის ოქტომბრის 25. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1614 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 29-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატ საგჯოს

224. სოციალური დაზღვევის ორგანოებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განთავისუფლებულ იქნეს სოციალური დაზღვევის ორგანოები, მათი დასვენების სახლები, სანატორიები და საინვალიდო დაწესებულებები ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

2. კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის სფეროში სოციალური დაზღვევის ორგანოები და მათ გამგეობლობაში ქონებული დასვენების სახლები, სანატორიები და საინვალიდო დაწესებულებები გათანასწორებულ იქნენ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან.

3. გავრცელებულ იქნეს სოციალუეი დაზღვევის ორგანოების დასვენების სახლებზე, სანატორიებზე და საინვალიდო დაწესებულებებზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ პროფესიონალური კავშირებისაგან სანატორიუმებისა, დასვენების სახლებისა და სათანადო სამკურნალო დაწესებულებისათვის დაჭერილი სადგომების ნაიჯარო სასყიდლის გადახდევინების აკრძალვის შესახებ—1926 წ. ივლისის 5-ს დაარიღოთ გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-7 №-რი, მუხ. 688) დადგენილების 1-ლი მუხლის მოქმედება.

ა/კ. ცენტრ. აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წლის ოქტომბრის 25. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1615 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 30-ს.